

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის

2025 წლის ანგარიში

სარჩევი

სამსახურის მიზნები და ამოცანები,
საქმიანობის ძირითადი მიმართულებები *3*

სტატისტიკური მონაცემები *4*

ტიპოლოგია *10*

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა *12*


ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა *14*

ტრენინგები და სემინარები *15*

სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (შემდგომ – სამსახური), როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანო, ფუნქციონირებს 2004 წლიდან და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, სამსახური, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირებისგან იღებს ინფორმაციას საეჭვო და სხვა გარიგებების შესახებ და აანალიზებს მას. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან/და სხვა პრედიკატიული დანაშაულის ჩადენის მიზნით, სამსახური დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთარსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს.

სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისდებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის №658 დადგენილებით. 2025 წლის განმავლობაში, სამსახურის სტრუქტურა განსაზღვრული იყო შემდეგი სახით:



2025 წლის მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2025 წლის 22 იანვრის №12 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 33 საშტატო ერთეული.

სტატისტიკური მონაცემები

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად[1], ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენენ:

ფინანსური ინსტიტუტები: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; საპენსიო კომპანია; სადაზღვევო ბროკერი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საინვესტიციო კომპანია, რომელსაც დანიშნული არ ჰყავს აქტივების მმართველი კომპანია; ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი; მიკრობანკი; აქტივების მმართველი კომპანია; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი.

არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირები: ადვოკატი, საადვოკატო ბიურო; ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი; ნოტარიუსი; სერტიფიცირებული ბუღალტერი, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, საბუღალტრო ფირმა; აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი; სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ – შემოსავლების სამსახური.


„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან სამსახურს წარუდგინონ ანგარიშგება საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. საეჭვო გარიგებების გარდა, კანონის მიხედვით, სამსახური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს გარიგებათა სახეობებს, რომელთა შესახებაც ანგარიშგება ანგარიშვალდებულმა პირმა სამსახურს უნდა წარუდგინოს[2].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის მანძილზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემები მოცემულია თანდართული ცხრილით:

[1] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3.
[2] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 25, პუნქტი 2.


ანგარიშვალდებული პირები	ანგარიშგების ფორმების საერთო რაოდენობა	მათ შორის, ზღვარს ზემოთ	მათ შორის, საეჭვო	მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსება
კომერციული ბანკი	294322	291735	2587	19
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	20363	20284	79	1
სადაზღვევო ორგანიზაცია	2	0	2	1
საბროკერო კომპანია	79	77	2	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	20184	20180	4	0
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	3928	3824	104	0
სესხის გამცემი სუბიექტი	1	0	1	0
მიკრობანკი	3644	3606	38	2
ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი	436	0	436	0
ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი	12386	12367	19	1
სამორინე	23490	23482	8	3
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	3727	2877	850	0
შემოსავლების სამსახური	20697	20697	0	0
სულ	**403259**	**399129**	**4130**	**27**

გრაფიკულად 2025 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების ფორმების რაოდენობა წარმოდგენილია შემდეგი დიაგრამის სახით:




შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არასაფინანსო სექტორიდან 2025 წელს მიღებული ანგარიშგებების რაოდენობის მაჩვენებლები წარმოდგენილია შემდეგი დიაგრამის სახით:

საფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები
2025 წ.



არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები
2025 წ.




თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავდა: 17 კომერციულ ბანკს, 1 საკრედიტო კავშირს, 33 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 20 სადაზღვევო ორგანიზაციას, 1 საპენსიო კომპანიას და 26 სადაზღვევო ბროკერს, 14 საბროკერო კომპანიას, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 736 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 19 სალიზინგო კომპანიას, 38 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, 133 სესხის გამცემ სუბიექტს, 5 საინვესტიციო კომპანიას, 2 მიკრობანკს, 9 აქტივების მმართველ კომპანიას და 32 ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერს.

კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2025 წლის 31 დეკემბრისთვის

მოიცავდა: 386 ნოტარიუსს, 240 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს, 109 აუდიტორს, 377 აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმას, 37 სამორინეს, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – შემოსავლების სამსახურს, 2 ადვოკატს, 3 საადვოკატო ბიუროს, 64 სერტიფიცირებულ ბუღალტერს, 46 პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტერს და 69 საბუღალტრო ფირმას.


2025 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული ან უცხოელი კოლეგებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, სამსახურმა გამოავლინა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს და სსიპ – შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 66 საქმე (მათ შორის, 6 საქმე ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევაზე და 2 საქმე სხვადასხვა ქვეყნის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო გვერდის ავლის მცდელობაზე).

გრაფიკულად სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და სსიპ – შემოსავლების სამსახურისთვის 2020-2025 წლების მანძილზე გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა მოცემულია შემდეგ დიაგრამაში:



აღსანიშნავია, რომ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სამსახური უფლებამოსილია ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, მიუხედავად გარიგების თანხის

ოდენობისა, ანგარიშვალდებულ პირს წერილობით მისცეს მითითება არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შესაბამისი გარიგების, აგრეთვე, ამ გარიგებასთან ან/და ამ გარიგების მონაწილე პირთან დაკავშირებული სხვა გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შეჩერების შესახებ. 2025 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება სამსახურის მიერ 4-ჯერ იქნა გამოყენებული. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა მოცემულია შემდეგ დიაგრამაში:



ტიპოლოგია

სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, ანგარიშვალდებული პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, 2025 წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილი შემთხვევების მნიშვნელოვანი წილი კვლავ მოდიოდა სხვადასხვა სახის თაღლითობაზე (საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება, ე.წ. "Romance-scam", ე.წ. "Identity theft", ე.წ. „Merchant-scam" და ა.შ.). დანაშაულებრივი აქტივების გადაადგილებისთვის გამოიყენებოდა როგორც ტრადიციული გზები, საბანკო ანგარიშები და ანგარიშებიდან თანხის განაღდება, ასევე, ელექტრონული საფულეები, რომელთა საშუალებითაც ფულის კვალის დასაფარად ხორციელდებოდა ტრანზაქციები კრიპტოვალუტით.

2025 წელს ასევე გვხვდებოდა ე.წ. „ქოლ-ცენტრების" მიერ განხორციელებული ტრანზაქციები. მსგავსი კომპანიები იქმნება საზღვარგარეთ მყოფ მოწყვლად

მომხმარებლებთან დასაკავშირებლად. მათ სთავაზობენ და არწმუნებენ, შეიძინონ სხვადასხვა პროდუქტი, განახორციელონ ინვესტიცია, გააკეთონ ფსონები ვალუტების (კრიპტოვალუტების) კურსებზე, ბინარულ ოპციონებზე და ა.შ.. ბუნებრივია, თაღლითური „ქოლ-ცენტრის“ მსხვერპლი ან ვერ იღებს წინასწარ შეთანხმებულ მომსახურებას ან კარგავს იმ თანხას, რომლითაც ე.წ. ინვესტიცია განახორციელა.

საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა გარკვეული პირების მიერ მომხმარებლისათვის სოციალური ქსელებით გზავნილების გაგზავნისა და რეკლამის განთავსების სახით სერვისებისა და „ინვესტიციების“ შეთავაზება. საანგარიშო წელსაც თვალშისაცემი იყო ე.წ. ფიშინგის შემთხვევები. ყალბი ვებ-გვერდების, სხვადასხვა „მესინჯერებისა“ და სოციალური ქსელების გამოყენებით მომხმარებელთა კონფიდენციალური საბანკო მონაცემების დაუფლება 2025 წელსაც თვალსაჩინო იყო. მსხვერპლი თაღლითებს თავად აძლევს საკუთარ ანგარიშებზე წვდომას, რის შემდეგაც ხორციელდება ფულის გადარიცხვა მესამე პირებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ასევე საკმაოდ გავრცელებული იყო რუსულენოვანი პირების შესაძლო მონაწილეობა აღნიშნულ ქმედებებში.

რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდგომ რუსეთსა და ბელარუსზე დაწესებული სანქციების თავიდან არიდების მცდელობები გაგრძელდა 2025 წელსაც. საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირის ანგარიშზე უცხოეთიდან (ხშირ შემთხვევაში, რუსეთიდან და/ან ბელარუსიდან) ირიცხება თანხა ხელშეკრულების საფუძველზე. ქართული კომპანია ფიგურირებს გამსხვისებლად, ხოლო უცხოური – მყიდველად. კონტრაქტის საგანია სხვადასხვა პროდუქტი, რომელიც სანქციების შედეგად მყიდველის ქვეყანაში ვეღარ შედის. ქართული კომპანია, თანხის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, ცდილობს გააკეთოს გადარიცხვა უცხოელ მწარმოებელთან, ბუნებრივია, ამ ოპერაციის ჩატარებისათვის გარკვეული გასამრჯელოს ფასად. მსგავსი ტიპოლოგიის ტრანზაქციების აღმოჩენისთანავე ანგარიშვალდებული პირები წყვეტენ/ბლოკავენ ტრანზაქციას და ურთიერთობას კლიენტთან.

2025 წლის მარტიდან, FATF-ის 29-ე რეკომენდაციის შესაბამისად, სამსახურში შეიქმნა სტრატეგიული ანალიზის სამმართველო, რომლის საქმიანობის ძირითად მიზნად განისაზღვრა მონაცემების ანალიზის გზით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში ახალი ტენდენციების, ტიპოლოგიებისა და კანონზომიერებების გამოვლენა, ასევე, ქვეყნის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შეფასება და მისი ოპტიმიზაციის ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განახორციელა 4 პროექტი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შესწავლისა და შეფასების კუთხით, 5 პროექტი – სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის მიმართულებით და ჩაატარა 6 მიზნობრივი და აღწერილობითი ანალიზი.

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

2025 წელს გაგრძელდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 მაისის №273 დადგენილებით შექმნილი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა, რომელსაც თავმჯდომარეობს სამსახურის უფროსი, ხოლო კომისიის სამდივნო შედგება სამსახურის თანამშრომლებისაგან. კომისიის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს დაახლოებას ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის საერთაშორისო სტანდარტებთან, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების თავიდან აცილების შესახებ, ევროდირექტივასთან, აგრეთვე, უზრუნველყოს MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესრულება. კომისიამ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით უზრუნველყო რელევანტური უწყებებისგან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა.


სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საერთაშორისო შეფასების მნიშვნელოვანი ეტაპი – კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით ორი ანგარიში დაამტკიცა: გაძლიერებული შემდგომი შეფასების მე-4 ანგარიში (FUR) და შესაბამისობის გაძლიერებული პროცედურის (CEP) ანგარიში.

პარალელურად, დაიწყო მუშაობა რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტის განახლებაზე, რაც ეფუძნებოდა როგორც წინა შეფასებების, ისე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს. კერძოდ, განხორციელდა რისკების შეფასების წინა ანგარიშის ანალიზი, FATF-ის და მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოებისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა, ცალკეული ქვეყნების პრაქტიკის შედარებითი ანალიზი, რაც მიზნად ისახავდა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და მეთოდოლოგიური მიდგომების გაუმჯობესებას.

დოკუმენტის განახლების პროცესში განხორციელდა როგორც შიდა, ისე გარე აქტორებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის – კითხვარების შემუშავება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს პროექტის მომზადება და მისი განხილვა შესაბამის უწყებებთან.

2025 წელს სამსახურის წარმომადგენლები აგრეთვე მონაწილეობდნენ „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა კონფერენციის მუშაობაში.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურმა განაგრძო ორმხრივი თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან. 2025 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებულ იქნა 85 შეკითხვა, შესაბამისი პასუხი გაეცა 79 მათგანს. თავის მხრივ, სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 22 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 21 მათგანზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს სამსახურის მიერ 2025 წელს გაეგზავნათ ინფორმაცია ფულის გათეთრების 5 შესაძლო შემთხვევაზე, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 30 შესაძლო ანალოგიური ფაქტის თაობაზე.



2025 წელს სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. ანგარიშვალდებული პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის სისტემატიური ურთიერთგაცვლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა

2020 წლის მანივალის კომიტეტის მიერ საქართველოს შეფასების ეროვნული ანგარიშის გამოქვეყნების შედეგად, ქვეყანა იმყოფება გაძლიერებული შემდგომი შეფასების პროცედურაში, რაც გულისხმობს შეფასების ანგარიშის გამოქვეყნებიდან 2 წლის შემდგომ, ყოველწლიურად, რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ჩაბარებას და შესაბამისი რეკომენდაციებზე რეიტინგის აწევის მოთხოვნის დაყენებას ევროპის საბჭოს წინაშე. 2025 წლის განმავლობაში, საქართველო იმყოფებოდა რიგით მეოთხე გაძლიერებული შემდგომი შეფასების პროცედურაში.

პროცედურის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სამსახურმა, შეიმუშავა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2025 წლის 26 ნოემბერს (1119-IVმს-XIმპ).

დასახელებული ცვლილებით საქართველო შესაბამისობაში მოვიდა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მე-6 და მე-7 რეკომენდაციებით დადგენილ ვალდებულებებთან. კერძოდ, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის დადგინდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება, კერძოდ: ყველა ფიზიკური პირი და იურიდიული პირი ვალდებულია, ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი გაეროს სანქციების კომიტეტის მიერ და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის მიერ სანქციადაკისრებული პირისთვის დაუყოვნებლივ, წინასწარი შეტყობინების გარეშე, არ გახადოს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები ან სხვა ქონება. სანქციადაკისრებული პირისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები, ეკონომიკური რესურსი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, განკარგავს ან აკონტროლებს ეს პირი ან მისი სახელით ან დავალებით მოქმედი პირი, გარდა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით დაწესებული გამონაკლისისა, აგრეთვე ფინანსური მომსახურება და სხვა, მასთან დაკავშირებული მომსახურება.

დასახელებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რის დაკისრებასაც უზრუნველყოფს სამსახური. აღნიშნული მიზნით სამსახურში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული.

2025 წელს გაგრძელდა მუშაობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მარეგულირებელ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაზე, მისი შემდგომი სრულყოფისა და სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით.

ანალიტიკური მიმართულებით განხორციელდა შესაბამისობის კვლევები, მათ შორის – FIU შესაბამისობის შედარებითი ანალიზი, იურიდიული პირებისა და ტრასტების გამჭვირვალობის შეფასება, პერსონალური მონაცემების დაცვისა და სანქცირების რეჟიმის შესაბამისობის ანალიზები. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნული სისტემის შესაბამისობისა და ეფექტიანობის შეფასებას საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

პროაქტიული საქმიანობის ფარგლებში სამსახური უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფდა საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერას, მათ შორის – ეგმონტის ქსელის მონიტორინგს, საერთაშორისო კორესპონდენციაზე რეაგირებას, გაეროს რეზოლუციების შესრულების მიზნით სანქცირებულ პირთა სიების გადამოწმებასა და შესაბამისი ინფორმაციის ანგარიშვალდებული პირებისთვის გაგზავნას, ამასთან, ხორციელდებოდა ანგარიშვალდებული პირების კონსულტირება, გარე უწყებებთან კოორდინაცია და AML/CFT უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს ფუნქციის შესრულება.

ტრენინგები და სემინარები

2025 წელს გაგრძელდა ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სემინარებსა და „ვორკშოპებში“ მონაწილეობის მიღება.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, აგრეთვე, დაესწრნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, 2025 წელს სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 2025 წლის 7-11 აპრილი, ქ. ვალეტა, EGMONT-ის ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაო ჯგუფის (TATWG) მიერ ორგანიზებული „ვირტუალური აქტივების მომსახურე ორგანიზაციების რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის სასწავლო სიმპოზიუმი“;
- 2025 წლის 28-29 მაისი, ქ. თბილისი, ტრენინგი „კრიპტო-აქტივების ოპერაციების გამოძიება“, ორგანიზატორი – Crystal Intelligence;
- 2025 წლის 2-3 ივლისი, ქ. თბილისი, ტრენინგი „ბლოქჩეინ-ანალიტიკა კრიპტო-ზედამხედველობისთვის“, ორგანიზატორი – Global Ledger;
- 2025 წლის 25 ოქტომბერი-2 ნოემბერი, ქ. ვალეტა, ევროსაბჭოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) მიერ შემფასებლებისათვის გამართული ტრენინგი;
- 2025 წლის 3-7 ნოემბერი, ქ. სტრასბურგი, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მხარეთა კონფერენციის (C198-COP) მე-17 შეხვედრა;

- 2025 წლის 30 ნოემბერი-3 დეკემბერი, ქ. სტრასბურგი, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული კონფერენცია „ფინანსური დაზვერვის სამსახურებში სტრატეგიული ანალიზის ფუნქციის ეფექტური გამოყენება, ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ტენდენციების გამოსავლენად“.